ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2337039

ნომერი: AR1357695

თარიღი : 18.11.2015

გაცემის თარიღი : 11.12.2015

გაცნობის თარიღი : 12.12.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო იაშვილი პ/ნ 01006016553
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 9ა ბ. 14

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონში (47-ე მუხლი) განხორციელებული ცვლილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებს გასცემს სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულის, გარემო პირობების, ასევე ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზ. N18–ში (ძეგლი) არსებულ შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის საკითხს. რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ №2321125 გადაწყვეტილებით გეცნობათ თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გამოვლენილი ხარვეზი: 1, წამოდგენილი უნდა იქნას არსებული სიტუაციის და შესაბამისი შენობის ფასადის ამსახველი სრულყოფილი ფოტოფიქსაცია. 2. "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4–13 გადაწყვეტილების 38–ე მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად: "დასაშვებია სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-დან 4.5 სიმაღლეზე დროებითი მსუბუქი კონსტრუქციების, ფარდულების, ტენტების, მარკიზების შეჭრა". ამასთანავე ტროტუარის კიდის ვერტკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან სარეკლამო აბრამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე–ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასასვლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 1,8 მ."
ვინაიდან, თქვენს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ხარვეზი, ამ ეტაპზე აღმიშნული საკითხი დარჩება განუხილველი. დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის და სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზის სრულად შევსების შემდგომ შესაძლებელი იქნება საკითხის განმეორებით განხილვა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.